



გვანცე კოპლატაძე

ბიზანტიური რენესანსის იდეოლოგიური საფუძვლები

მეცნიერებაში ცნებანი — ჰუმანიზმი და რენესანსი ერთმანეთს იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა, რადგან რენესანსის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამ ისტორიულ-კულტურულ მოვლენას, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა, იდეოლოგიურ საფუძვლად სწორედ ჰუმანიზმი უდევს.

თავისთავად არც ჰუმანიზმისა და არც რენესანსის ცნებათა ობიექტური შინაარსის დადგენა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; სიძნელეს ამ შემთხვევაში, ისევე როგორც საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, განსხვავებით ე. წ. ზუსტ მეცნიერებათაგან, სადაც ეს ნაკლებად დასაშვებია, ამ ცნებათა მიმართ მკვლევართა სუბიექტური დამოკიდებულება ქმნის. ობიექტურადაც და თავდაპირველი მნიშვნელობითაც ჰუმანიზმი იგივე კაცომოყვარეობაა, რომელიც ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემას, მისი პიროვნების ღირებულების აღიარებასა და მისი კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის ზრუნვას გულისხმობს. ჰუმანიზმის ამგვარი გაგება საყოველთაოდაა აღიარებული და დავას არ იწვევს; ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილ დავასა და აზრთა სხვადასხვაობას სუბიექტური მიზეზი აქვს, კერძოდ, ვის როგორ ესმის და რა შინაარსს დებს ზემოთ ჩამოთვლილ ღირებულებებში.

ბუნებრივია, რენესანსის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის — ჰუმანიზმის სხვადასხვაგვარი გაგება, თავად რენესანსის, როგორც განსაზღვრული კულტურული მოვლენისადმი განსხვავებულ მიდგომათა მიზეზი ხდება.

მეცნიერებაში ძირითადად დომინირებს შეხედულება, რომლის

მიხედვითაც ანტიკური კულტურის აღორძინება ანუ რენესანსი საერთოდ კულტურის წინსვლასა და განვითარებას ნიშნავს. მაგრამ არსებობს საპირისპირო შეხედულებაც, რომელიც, მართალია, შედარებით ნაკლებადაა გაზიარებული, მაგრამ საფუძვლიანობის გამო არა მხოლოდ არსებობის უფლება აქვს, არამედ დარწმუნებული ვართ, რომ შემდგომი კვლევა-ძიებით უფრო დასაბუთებულ სახეს შეიძენს და მომხრეთა რიცხვიც გაუმრავლდება.

როცა პუმანიზმისა და რენესანსზე ლაპარაკობენ, ძირითადად დასავლეთ ევროპას, კერძოდ, XIV-XV სს-ის იტალიურ კულტურას გულისხმობენ და აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მის არსებობას კითხვის ქვეშ აყენებენ, თუმცა ზოგიერთ ბიზანტიულ მოღვაწეს პუმანისტად მიიჩნევენ და იმასაც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ-ევროპული პუმანიზმისა და რენესანსის იდეოლოგიური ფესვები სწორედ მათ ნააზრევში უნდა დაიძებოს. მაგალითად, ცნობილი ბიზანტოლოგი კარლ კრუმბახერი, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიაში იტალიური რენესანსის ანალოგიური მოვლენის არსებობას გადაჭრით უარყოფდა, ფიქრობდა, რომ, მართალია, უშუალოდ დასავლეთევროპული პუმანიზმის წინა სკოლა (Vorschule) პალეოლოგოსთა ეპოქაში შეიქმნა, მაგრამ მას სათავე ბევრად უფრო ადრე დაედო და ვისაც მისი ისტორიის დაწერა სურს, იგი მოსხოპულოსიდან, პლანუდადან (XIII-XIV სს), ფსელოსიდან (XI ს.), არეთადან და ფოტიოსიდან (IX ს.) უნდა დაიწყოს.¹

აქვე შევნიშნავთ, რომ ან კონტექსტში კაპადოკიის კესარიის მთავარეპისკოპოსის არეთასა და განსაკუთრებით მისი მასწავლებლის, კონსტანტინეპოლის წმინდა პატრიარქის ფოტიოსის მოხსენიება შეცდომაა, რადგან ფოტიოსის სამეცნიერო მოღვაწეობა ერთმნიშვნელოვნად იყო მიმართული არა ანტიკურობის აღორძინების, ან მისი ქრისტიანობასთან აღრევა-შერწყმისაკენ, არამედ ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის, როგორც საერთოდ კულტურის ისტორიაში ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის, შესწავლისაკენ. ამდენად, ფოტიოსი შუა საუკუნეების რენესანსის სათავეებთან კი არ დგას, არამედ იმ ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება, რომელიც ბასილი დიდმა, და საერთოდ, კაპადოკიურმა სკოლამ დაამკვიდრა და რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არა მხოლოდ წარმართულ, არამედ საერთოდ, არაქრისტიანულ კულტურებთან ურთიერთობისას სახელმძღვანელო პრინციპად

¹ Krumbacher K., Geschichte der byzantinischen Literatur, München, 1897, s. 501.

გაიხადა (ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ზნეობრივ იდეალებს ქადაგებს და ასწავლის, დამოუკიდებლად იმისაგან, რომელი კულტურის კუთვნილებაა, ქრისტიანისათვის არა მხოლოდ მისაღები, არამედ სასარგებლოცაა).

ზოგიერთი მკვლევარი საპირისპირო თვალსაზრისს იცავს და თვლის, რომ ბიზანტიაში ანტიკურობის ჭარბი დოზით გამოყენება მოხდა, რამაც მის კულტურას შემოქმედებითი ძალა მოაკლო და იგი უნაყოფო გახადა.² ამ დასკვნას მხოლოდ საერო, განსაკუთრებით იმ ლიტერატურული ძეგლების მიმართ ვიზიარებთ, რომლებიც სწორედ ე. წ. რენესანსის ეპოქაში შეიქმნა, როცა მკვლევართა მიერ ჰუმანისტად აღიარებული ბიზანტიელი მოღვაწის ნიკიფორე გრიგორიას თქმით, ხანგრძლივი პერიოდი კულტურის დაცემისა და ჩაკვდომისა (nekrwsi-) ანტიკურობის კულტურულ ტრადიციათა აღორძინებამ (ajhabiwsi-) შეცვალა,³ მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ, როგორც უმდიდრესი და უმშევენიერესი ბიზანტიური სასულიერო მწერლობისა და მისი მრავალფეროვანი დარგების, ისე ბიზანტიური ქრისტიანული ფერწერისა და არქიტექტურის მიმართ.

სხვათა აზრით, ბიზანტიური ჰუმანიზმისა და რენესანსის შესწავლისას სირთულეს ის ქმნის, რომ ბიზანტიელებს არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი ანტიკურ ტრადიციებთან, და სწორედ აქედან გამომდინარე ჭირს ერთი გარკვეული პერიოდის გამოყოფა, რომელსაც ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქას ვუწოდებდით. სწორედ ასე ფიქრობდა ა. ჰაიზენბერგი, რომელიც აღ. რომის იმპერიაში ძველი კულტურის სრული უწყვეტობის — კონტინუიტუტის კონცეფციას უჭერდა მხარს.⁴ შემდეგში ეს თვალსაზრისი განავითარა ო. დემუსმა, რომელიც რენესანსის ბიზანტიაში „უწყვეტი ელინისტური ტრადიციების შიგნით“ პერიოდულად ამ ტრადიციათა ერთგვარ შედედება-შესქელებას უწოდებდა და ამგვარად მის პერმანენტულობასა და მრავალგზისობას აღიარებდა.⁵

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტოლოგიაში ბიზანტიური მრავალგზისი რენესანსის თეორიამ მრავალი გამგრძელებელი იპოვა. მაგ., პ. ლემერლი ოთხ ბიზანტიურ რენესანსზე საუბრობს,

² Neumann C., Byzantinischen Kultur und Renaissance – kultur. HZ, 1903, Bd. 91, S.215-232.

³ Niciforo Gregora, Fiorento o intorno alla Sapienza. A cura P. L. M. Leone, Napoli, 1975, p. 58-59; 88-106.

⁴ Heisenberg A., Das Problem der Renaissance in Byzant. HZ, 1926, Bd. 133, S. 394-395.

⁵ Demus O., Die Rolle der byzantinischen Kunst in Europa. LÖBC, 1965, 14, S. 141.

რომელთაგან პირველს ფოტიოსს, არეთა კესარიელსა და ლეონ მათემატიკოსს უკავშირებს (თუ რამდენად შეიძლება ფოტიოსისა და არეთა კესარიელის რენესანსის საფუძვლის ჩამყრელებლად დასახელება, ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა); მეორე რენესანსი, მისი აზრით, მიქაელ ფსელოსსა და იოანე იტალოსს უკავშირდება, მესამე — მაქსიმე პლანუდას, ტრიკლინიუსსა და ხორტასმენს (XIII-XIV სს.), ხოლო მეოთხეს იგი პლითონის სახელს უწოდებს.⁶ რაც შეეხება საკუთრივ პუმანიზმს, ეყრდნობა რა თავისესავე თვალსაზრისს ბიზანტიური კულტურის ისტორიაში რენესანსის ოთხგზის არსებობაზე, ლემერლი ასკვნის: „თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში ბიზანტიამ ორი პუმანიზმი იცოდა: პუმანიზმი ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე, რომლის დასაწყისიცა და აყვავებაც IX-X სს-ში დასავლეთში ჯერ კიდევ ბევრ საუკუნეებს ემთხვევა, რომელსაც „კაროლინგების რენესანსის“ აფეთქება ოდნავ ანათებდა, და პუმანიზმი პალეოლოგთა ეპოქისა XIII-XIV სს-ში, კომწენოსების დროს დაწყებული და მომზადებული, რომლისთვისაც დასავლეთთან კონტაქტები უკვე პრობლემური ხდება... დასაწყისი იმისა, რასაც ჩვენ რენესანსის ვუწოდებთ, სწორედ ეს ბოლო, გემისტოს პლითონისა და ბესარიონის მქუჩარე სახელებით დაგვირგვინებული პუმანიზმია უფრო შესწავლილი პოპულარული ბერძენი სწავლულის სახით, რომელიც ძვირფასი ხელნაწერი კოდექსებით ხელში თურქთა მკყრობელობას გამოექცა, თუმცა მისი ჭეშმარიტი ისტორია, ისტორია სწავლულთა მათივე ხელნაწერებთან ერთად დასავლეთში ჩამოსვლისა, ჯერ კიდევ დასაწერი რჩება“?⁷

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დასაწყისი ბიზანტიური პუმანიზმისა და რენესანსისა იმ გაგებით, როგორც ეს ცნებანი მეცნიერ-მკვლევართა უდიდეს ნაწილს ესმის, ფოტიოსისა და არეთა კესარიელის სახელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუკავშირდება. პატივი ე. წ. ალორძნების ეპოქისათვის სათავის დამდებისა და საფუძვლის ჩამყრელისა უდავოდ XI საუკუნის ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწეს იოანე იტალოსთან ერთად მიქაელ ფსელოსს ეკუთვნის, თუმცა მისი როლი ამ საქმეში იმდენად განსაკუთრებულია, რომ იტალოსი შეიძლება არც დაგვესახელებინა.

ვერ დავეთანხმებით საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობა ერთმნიშვნელოვნად მტრულად

⁶ Lemerle P., *Byzance et les origines de notre civilisation. In Venezias e l' Oriente fra tardo Medioevo e Rinascimento. Venetia, 1966, p. 1-17.*

⁷ Lemerle P., *Le premier humanisme byzantin*, p. 7.

იყო განწყობილი წინარე ქრისტიანული კულტურის მიმართ და თავის იდეალებს მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ამ-კვიდრებდა. პირიქით, ჭეშმარიტად დიდი ქრისტიანი მოაზროვნენი და კულტურის მოღვაწენი თავს ანტიკურობის კულტურული ტრადიციების სრულუფლებიან მემკვიდრეებად გრძნობდნენ, თვი-თონაც სწავლობდნენ და იყენებდნენ მის საუკეთესო მიღწევებს და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდნენ. ანტიკურ კულტურასთან ამგვარი დამოკიდებულების მაგალითად უპირველესად კაპადოკიურ საღმრთისმეტყველო სკოლას და მის სახელოვან წარმომადგენლებს დავასახელებდით.

ბრძოლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომაკვდავმა წარმართულმა იდეოლოგიამ გამოუკხადა ქრისტიანობას, როცა შეეცადა მისთვის ქრისტიანობის კვალიბაზე განახლებული პლატონიზმი ანუ ნეო-პლატონიზმი დაეპირისპირებინა, მაგრამ წააგო. მეხუთე საუკუნეში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, ველაც ნეოპლატონიზმის მწვერვალად აღიარებულმა პროკლე დი-ადოხოსმა გაუწია ღირსეული მეტოქეობა. ამის შემდეგ აზროვნების ისტორიაში ნეოპლატონიზმი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაქრა სამოქმედო ასპარეზიდან და აი, XI საუკუნეში მისი გაცოცხლებისა და ამოქმედების საქმეს მიქაელ ფსელოსმა ისეთი წარმატებით გაართვა თავი, რომ იგი პუმანიზმთან ერთად რენესანსის იდეოლოგიური საფუძველი გახდა.

ამ წარმატების საიდუმლო ის ორმაგი სტანდარტი იყო, რო-მელიც მან აზროვნებასა და ცხოვრებაშიც პრინციპად გაიხადა და მიზნის მისაღწევად გამოიყენა. ფსელოსმა განახლებული პლა-ტონიზმი ღიად კი არ დაუპირისპირა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, როგორც ამას ცნობილი ნეოპლატონიკოსები აკეთებდნენ და დამარცხდნენ, რადგან იცოდა, ამ შემთხვევაში ბრძოლას თვი-თონაც აუცილებლად წააგებდა, არამედ ნეოპლატონური იდეებისა და პრინციპების გადანერგვით თვითონ ქრისტიანული მოძღვრება შერყვნა და აამღვრია.

ფსელოსის ცხოვრება ძირითადად მისი მსოფლმხედველობის პრაქტიკულად განხორციელებას წარმოადგენს. თუმცა არც მორწმუნე იყო, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებრივი დოგმები კარგად იცოდა და როცა თავის ქრისტიანად წარმოდგენა სურდა, ამ ცოდნას მარჯვედაც იყენებდა, და ვერც მონაზვნისათვის წაყენებულ სხვა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა: არც უპოვარი იყო, პირიქით,

საიმპერატორო კარხე მოპოვებული გავლენის წყალობით, დიდძალ ქონებას ფლობდა, არც მორჩილება გააჩნდა (მორჩილებას მხოლოდ მასზე ძლიერის წინაშე ამჟღავნებდა და ისიც მაშინ, თუ საფრთხის მოახლოებას იგრძნობდა) და არც თავმდაბლობა, პირიქით, თავის თავზე უზომოდ დიდი წარმოდგენისა იყო, ცხოვრების დიდი ნაწილი მაინც ბერობაში გაატარა, რაღაც ბერული ჩოხა, გარდა იმისა, რომ მასში თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა, ქრისტიანი მოღვაწის სახელის შენარჩუნებაშიც ეხმარებოდა. საზოგადოების თვალში ის აუცილებლად უნდა დარჩენილიყო ქრისტიანად, რათა მას მისი მოღვაწეობის ნამდვილი მიზნის გამოცნობა გასძნელებოდა.

უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფსელოსი მივიწყებული ავტორი ნამდვილად არ არის, პირიქით, ამ ბოლო პერიოდში მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მექავიდრეობის შესწავლის საკითხი აქტუალურად დგას. ქართულ ბიზანტიოლოგიაშიც გვაქვს პროფ. მაგდა მჭედლიძის სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც მიქაელ ფსელოსის მსოფლმხედველობრივი პოზიცია უშუალოდ მისი დროისა და მარადისობის ურთიერთმიმართების პრობლემისადმი მიძღვნილი ექვსი ტრაქტატის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე გარკვეული და გამოტანილია სწორი დასკვნა, რომ მათში გადმოცემული ნააზრევის მიხედვით „ფსელოსი ორთოდოქს მოაზროვნედაც და ნამდვილ ნეოპლატონიკოსადაც“ ერთდროულად წარმოდგება.⁸

ორ ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე ერთდროულად დგომა იმ კაცისთვის, რომელიც ფიქრობდა, რომ ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს და თვითონაა საზომი ჭეშმარიტებისა, ბუნებრივი მდგომარეობაა. იმის ნათელსაყოფად თუ როგორ ატარებდა იგი თავის მსოფლმხედველობრივ მრწამსს პრაქტიკულად, მისი ცხოვრებიდან ერთ პატარა, მაგრამ დამახასიათებელ ეპიზოდს მოვიტანთ. როცა მან, იმპერატორი ისააკის დავალებით, პატრიარქის — მიქაელ კერულიაროსის წინააღმდეგ შედგენილ საბრალმდებლო სიტყვაში ცილისწამებათა საფუძველზე იგი მწვალებლად, მკვლელად და წმინდა ადგილების გამანადგურებლად წარმოადგინა და ამისთვის უსაყვედურეს, პასუხად განაცხადა, რომ ერთი და იმავე საქციელის შეფასება დადებითადაც შეიძლება და უარყოფითადაც, ეს საქმის ვითარებას გააჩნიაო, ანუ, რომ დავაზუსტოთ, შეფასება იმაზე უნდა ყოფილიყო

⁸ მ. მჭედლიძე, მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიური პოზიცია, სააზროვნო და პედაგოგიური მეთოდი, თბ., 2006, გვ. 144.

დამოკიდებული, რა იქნებოდა პირადად მისთვის სასარგებლო.

რადგან ორი ბატონის სამსახური არავის შეუძლია, ან ერთი უნდა მოიძულოს და მეორეს ემსახუროს, ან მეორე და პირველს ემსახუროს (ლუკ. XIII, 16). კითხვას ბოლოს და ბოლოს ვინ იყო მსოფლმხედველობით მიქაელ ფსელოსი — ნეოპლატონიკოსი თუ ქრისტიანი, პასუხი თვითონვე გასცა, როცა მისთვის უჩვეულო გულწრფელობით განაცხადა, რომ არისტოტელეს, პლატონის, პლოტინის, პორფირიოსისა და იამბლიხოსის მოძღვრებათა შესწავლის შედეგ „გზა გააგრძელა და ღუზა ვითარცა დიდ ნავსაღვურში, შეუდარებელ პროკლესთან ჩაუშვა, რომლისგანაც მთელი სიბრძნე და ზუსტი აზროვნების ხელოვნება“ შეითვისა.⁹

მეცნიერებაში ფსელოს დამსახურებად ნეოპლატონიზმის ქრისტიანობასთან მორიგების მცდელობა ეთვლება, რასაც მან, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევდა, რადგან ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობის მორიგება და ერთ მოძღვრებად გაერთიანება შეუძლებელია. რაც მთავარია, ეს ფსელოსმა თავადაც კარგად იცოდა და ამიტომ მორიგება არც ჰქონია მიზნად. სინამდვილეში მისი მიზანი ნეოპლატონიზმის გაცოცხლება და მისით ქრისტიანული იდეოლოგიის ჩანაცვლება იყო, მაგრამ ისიც ასევე კარგად იცოდა, რომ თუ ქრისტიანობას ბრძოლას ლიად გამოუცხადებდა, აუცილებლად დამარცხდებოდა, როგორც მისი მოწაფე იოანე იტალოსი, რომელიც ნეოპლატონიზმს შეუნიდავად ასწავლიდა და მასწავლებლისაგან განსხვავებით თუ ამას გარემოება მოითხოვდა, არც გამოთქმული მოსაზრების მყისვე უკან წალება და საპირისპიროს მტკიცება შეეძლო. სწორედ ნამდვილი მიზნის დასფარავად და ეკლესიასთან ოფიციალურად დაპირისპირებისათვის თავის ასარიდებლად შემოიტანა ფსელოსმა აზროვნებაში ორი ჭეშმარიტების არსებობა და აღიარება.

პოზიტიურადაა შეფასებული მეცნიერების მიერ, აგრეთვე, ფსელოსის როლი დოგმების მორჩილებისაგან აზროვნების განთავისუფლებაში. თუ ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები უსაზღვრო არაა და გონების შემავსებელი რწმენაა (გრიგოლ ლმრთისმეტყველი), ფსელოსისათვის ცოდნით ყველა საკითხის ახსნა და ყველა კითხვაზე პასუხის მიღებაა შესაძლებელი. ორი ჭეშმარიტების არსებობის პრინციპი მან ამ შემთხვევაშიც გამოიყენა. იმასაც წერდა, რომ ცოდნა რწმენის შეს-⁹ Михаил Пселл, Хронография, статья и примечания Н. Любарского, М., 1978, გვ. 80-81.

ავალია და იმასაც ამტკიცებდა, რომ ქრისტიანული დოგმატების აღიარება ლოგიკურ მსჯელობათა და მტკიცებულებათა გარეშე არ შეიძლება, რითაც გონიერას რწმენაზე მაღლა აყენებდა.

შეიძლება თუ არა ფსელოსს ჰუმანისტი ვუწოდოთ? იმ ნიშნების მიხედვით, რომლითაც აღექსეი ლოსევი რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმს ახასიათებს — თავისუფალი აზროვნება და საერო ინდივიდუალიზმი¹⁰ — მიქაელ ფსელოსი ნამდვილი ჰუმანისტია.

ლოსევის აზრით, რამდენადაც ნეოპლატონიზმიცა და ჰუმანიზმიც, მიუხედავად მათ შორის არსებულ სხვაობათა, მზარდი ინდივიდუალიზმის გამოვლენას წარმოადგენს, ერთი და იგივეა და ამიტომაც ტერმინ ჰუმანისტურ ნეოპლატონიზმს არსებობის სრული უფლება აქვს.

საერთოდ, მკვლევართა უმეტესი ნაწილისათვის ცნება ჰუმანიზმის შინაარსი დავიწროვდა და იგი რენესანსთან, ანუ ანტიკური კულტურის აღორძინებასთან იქნა გაიგივებული, რაც იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ყველაზე უკეთ ადამიანის ფენომენი, რაც მის პარმონიულად განვითარებისათვის (სხეულებრივად და სულიერად) ზრუნვაში გამოიხატებოდა, ანტიკურობაში ესმოდათ. ამგვარი დამოკიდებულება ჰუმანიზმის, როგორც ფილოსოფიურ-კულტურული მიმდინარეობის, ისტორიაში ქრისტიანობის როლს არა მხოლოდ გამორიცხავს, არამედ უპირისპირდება კიდეც, რადგან თვლის, რომ რენესანსული ჰუმანიზმის დამსახურება უწინარესად სწორედ ადამიანის აზროვნების სარწმუნოებრივი დოგმატების მორჩილებისაგან განთავისუფლებაში მდგომარეობს. გავიხსენოთ: მიქაელ ფსელოსი დოგმატების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა გამართლებულად, თუ მათი დასაბუთება ლოგიკურ მსჯელობათა და მტკიცებულებათა გზით იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ უკვე ისინი რწმენის სფეროს კუთვნილებანი აღარ იქნებოდნენ. ასე მივიღნენ რენესანსის იდეოლოგები რწმენის, ანუ ლმრთის უარყოფამდე და ლმერთი ადამიანით ჩაანაცვლეს, ხოლო სარწმუნოება — რაციონალიზმით და საკუთარ გონიერას მინდობილი კაცობრიობა ჭეშმარიტების ძიების იმ გრძელსა და მომქანცველ გზაზე, რომელიც ქრისტემდე ჰქონდა გავლილი, ხელახლა დააყენეს.

მაგრამ არის თუ არა კაცობრიობის ისტორიაში ეს გარდამტენი მოვლენა მართლაც გამოხატულება ადამიანის სიყვარულისა, მისი

¹⁰ Лосев А. Эстетика возрождения, М., 1978, гл. 109.

ღირსებისა და უფლებების პატივისცემისა, მისი პიროვნული ღირებულების აღიარებისა და მის ბედზე ყოველმხრივ ზრუნვისა, ანუ ჰუმანიზმი მისი თავდაპირველი და ნამდვილი მნიშვნელობით?

დავიწყოთ იქიდან, რომ ღმრთის უარყოფამ და საკუთრივ გონებრივ შესაძლებლობებში უზომო თავდაჯერებულობამ აღამიანი, როგორც ამას ა. ლოსევი შენიშნავს, უკიდურეს ინდივიდუალიზმამდე მიიყვანა. უკიდურესობანი კი ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში აღიქმებოდა სათონებათა საპირისპირო ცნებებად (არისტოტელე), ხოლო იოვანე ოქროპირი მათ ბოროტებას უწოდებდა.

თავის მსგავსებთან თანაცხოვრებისათვის შექმნილ აღამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ არისტოტელემ „საზოგადოებრივი ცოცხალი არსება“ (zwölf pol i tikon), უკიდურესი ინდივიდუალიზმი სულიერად აღატაკებს, რადგან უკარგავს ინტერესს სხვათა ბედის მიმართ, ათავისუფლებს მათზე ზრუნვისაგან, ართმევს უნარს მათი მდგომარეობის თანაგანცდისა, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, ართმევს სიყვარულს, რომელიც მას ღმერთს ყველაზე მეტად ამსგავსებს და სათონებათა შორის უდიდესია. ამიტომაც ხდება მისი დაკარგვა მიზეზი სულიერი სიძირისა და მეტიც — სულიერი სიცარიელისა.

უკიდურესი ინდივიდუალიზმით შექვრობილი აღამიანის სამოქმედო ასპარეზი მეტისმეტად ვიწროა, რადგან იგი მხოლოდ საკუთარი ინტერესებითა და პიროვნული განცდებითაა შემოსაზღვრული. სხვებზე ზრუნვისაგან განთავისუფლებულს საკმაოზე მეტი ღრო აქვს, იფიქროს ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულზე, სიკვდილზე, რომელთანაც შერიგება ბევრად უფრო გაუადვილდებოდა, თავი რომ საზოგადოების წევრად და, ამდენად, მისი საერთო ხვედრის გამზიარებლად ეცნო. საზოგადოებისაგან გაუცხოება და მარტოსულობა ჯერ მოწყენილობის მიზეზი ხდება, შემდეგ ჩივილისა ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობასა და ამაოებაზე, რომელსაც ლოგიკურად მოსდევს ღმრთისაგან ბოძებული სიცოცხლის უაზროდ გამოცხადება და უარყოფაც კი.

როგორც შედეგებმა აჩვენა, რენესანსული ჰუმანიზმი სინამდვილეში აღამიანზე, მის ბედსა და ყოველმხრივ განვითარებაზე ზრუნვას, მისი ღირსებისა და უფლებების დაცვას კი არ გულისხმობდა და არც ანტიკურ იდეალს პარმონიულად განვითარებული აღამიანისა, არამედ — მასში სულიერ საწყისზე ხორციელისა და მიწიერის გამარჯვებას. ამრიგად, ნეოპლატონიზმთან შეერთებული, თითქმის მასთან გაიგივებული ჰუმანიზმის მიერ აღამიანის

აზროვნების განთავისუფლებას, რაც სინამდვილეში რწმენისა და ლმერთის უარყოფას ნიშნავდა, გვიან შუა საუკუნეებში ცრუმორწმუნეობის, ოკულტიზმისა და მაგიის ისეთი აღმავლობა მოჰყვა, რომელსაც წარმართობაც კი არ იცნობდა. ამიტომაც თვლიდა ყველაზე საშიშად ადამიანის დაცემისათვის სადავემიშვებულ გონებას წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი.

მაინც, რა შესძინა ბიზანტიისა და საერთოდ კაცობრიობის კულტურას ნეოპლატონიზმის აღორძინებამ, ანუ მისი მოშველიებით ქრისტიანული მოძღვრების მიერ უცვლელ ჭეშმარიტებებად აღიარებული დოგმების რეფორმაციამ და ამ გზით ადამიანის გონების განთავისუფლებამ?

XII-XV საუკუნეებში ე.წ. ბიზანტიური რენესანსის იდეოლოგთა შორის ყველაზე დიდი სახელი მიქაელ ფსელოსს აქვს, რომელიც აზროვნების ორიგინალობით დიდად ჩამოუვარდებოდა ნეოპლატონიზმის ცნობილ მამამთავრებს — პლოტინსა და პროკლე დიადოხოსს, ხოლო მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ დიდ ჰუმანისტად აღიარებული გეორგიოს გემისტოს პლითონის დამოუკიდებელი ძიებანი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე ანტიკური მითოლოგიის მოდერნიზებული სახის აღღენით დამთავრდა, რომელსაც იგი საზოგადოებას, როგორც ახალ სარწმუნოებას, ქრისტიანობის ნაცვლად სთავაზობდა.¹¹

იმავეს თქმა შეიძლება სულიერი კულტურის სხვა დარგებზეც, მაგალითად ლიტერატურაზე. ბიზანტიური რენესანსის ეპოქაში მოღვაწე მწერლები ძირითადად ელინისტური სატრფიალო რომანის ეპიგონობას სჯერდებოდნენ, რის შედეგადაც შექმნილი ე.წ. ბიზანტიური სარაინდო რომანები გაოცებას იწვევს სიუჟეტების პრიმიტიულობით, მოქმედ პერსონაჟთა ხასიათების სქემატურობითა და, მიუხედავად მათ მიერ ცრემლების უხვად ფრქვევისა, განცდათა ზედაპირულობით.

მეცნიერებაში სწორად აქვს გაცემული პასუხი კითხვას, რატომ მაინცდამაინც პლატონიზმისა და ნეოპლატონიზმის და არა არისტოტელიზმის საფუძველზე მოინდომეს ქრისტიანული მოძღვრებისა და მისი დოგმების რეფორმაცია აღორძინების ეპოქის იდეოლოგებმა. მედვედევი წერს: „თუ მოგვიანებით ეკლესიამ თავის მთავარ ავტორიტეტად არისტოტელე გამოაცხადა, ამან ის ფაქტი არ უნდა გადაფაროს, რომ მესიის გაგებით, როგორც სამყაროს მხსნელისა,

¹¹ Scultze F., Georgios Gemistos Plethon und seine reformatorischen Bestrebungen, Iena, 1874.

ქრისტიანობა საბოლოო ჯამში დავალებული იყო არა არისტოტელებან, არამედ სწორედ პლატონიზმისაგან, რომელიც ამ იუდეური იდეის ლოგოსის ბერძნულ იდეასთან დაკავშირების შესაძლებლობას იძლეოდა¹².¹² მართალია, ამ მოსაზრებაში ბევრი რამაა მიუღებელი და საკმათო, მაგალითად ის, რომ ჭეშმარიტად ქრისტეს ეკლესიისათვის, ცნობილ მიზეზთა გამო, არისტოტელელე მთავარი ავტორი ავტორიტეტი ვერცერთ ეპოქაში ვერ იქნებოდა, ასევე მიუღებელია ისიც, რომ ეკლესია დავალებულია პლატონიზმისაგან, რომელსაც იგი ძირითად საკითხებზე თავისი სწავლებებით პრინციპულად უპირისპირდება, მაგრამ სწორია ის, რომ პლატონის მოძღვრება იდეებზე, კერძოდ, იდეა ლოგოსისა მეტ საშუალებას იძლეოდა მისი აღრევისა ქრისტესთან, როგორც სიტყვა ღმერთთან, ვიდრე არისტოტელეს სწავლება ფორმასა და მატერიაზე.

გრძნობდა რა საფრთხეს, რომელსაც მისი მოძღვრების სიწმინდეს მიქაელ ფსელოსი და მისი მსგავსი ქრისტიანები უქმნიდნენ, ეკლესიამ სინოდის გადაწყვეტილებით ანათემაზე გადასცა ისინი, რაღაც ორი ჭეშმარიტების არსებობის პრინციპით მართლმადიდებლობასაც აღიარებდნენ და ამავე დროს, უტიფრო, ან უფრო სწორად უსჯულოებით, შემოჰქონდათ მართლმადიდებლურ ეკლესიაში უსჯულო დოგმატები წარმართებისა, სახელდობრ, ადამიანთა სულების მეტემფსიქოზისა, მათი დალუპვისა და არარად ქცევისა, მატერიისა და იდეების მარადიულობასა, ან ღმერთთან მათი მარადიული თანაარსებობისა, პლატონის სწავლების მიხედვით, მატერიის თავისთავად არსებობისა და მის მიერ იდეათა შესაბამისი ფორმების მიღებისა და ა. შ.¹³

რა თქმა უნდა, ლოგიკურად დასაბუთებული პასუხების გაცემა ადამიანთა წინაშე წამოჭრილ ყველა კითხვაზე არც პლატონიზმს შეეძლო. ამიტომ იგი „უკარგავდა რა სიმშვიდეს დიალექტიკური მსჯელობებით დაუკმაყოფილებელ სულს, ხშირად ირაციონალური ხასიათის პასუხს აძლევდა და ფილოსოფიაში ოკულტიზმს, მაგრას, ასტროლოგიას უშვებდა, რაც ქრისტიანობას აღელვებდა“¹⁴. სწორად შენიშნავს ვერპო, როცა წერს, რომ ასეთი პლატონიზმი მისტიკური თეოლოგიის ერთგვარი ირაციონალური თეოსოფიით შეცვლისაკენ ისწრაფვოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ირაციონალური

¹² Медведев И., Византийский гуманизм, гл. 52-53.

¹³ Gouillard I., Le synedikon de l' Orthodoxie; édition et commentaire, Travaux et Mémoires, 1967, II p. 51, L. 190-p. 1; 227.

¹⁴ Verpeaux I., Nicéphore Choumnos. Homme d'État et humaniste byzantin. Paris, 1959, p. 182.

თეოსოფიით ანუ იგივე ოკულტიზმის ხერხებით შეცვლა მისტიკიზმისა, რომელიც სხვა საშუალებას ღმერთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა და შეცნობისა, გარდა გარე სამყაროსაგან მოწყვეტის გზით განმარტოებისა და სულიერი მზერის მთლიანად შემოქმედისკენ წარმართვისა, არ იცნობდა, არა აზროვნების თავისუფლებასა და განვითარებას, არამედ, პირიქით, ჭეშმარიტი რწმენის საპირისპიროდ, მისი ცრუ რწმენების ტყვეობაში მოქცევას მოასწავებდა. ამიტომ, ვფიქრობთ, მკვლევარი თვითონ ეწინააღმდეგება თავის თავს, როცა ასკენის, რომ ნეოპლატონურმა ჰუმანიზმმა სამსახური გაუწია ქრისტიანულ მოძღვრებას, იმით, რომ ბერძნული დიალექტიკის, ელინური მეტაფიზიკისა და ფსიქოლოგიის წყალობით დოგმა თანდათან გამოყო ძველი და ახალი აღთქმის პრიმიტიულ ტექსტებს და იდეის სისტემად კონსტრუირდა.¹⁵

დაახლოებით იგივე აზრი აქვს გამოთქმული მიქაელ ფსელოსის დამსახურებაზე სხვა მკვლევარებსაც. ისინიც დადებითად აფასებენ ფსელოსის მცდელობას წარმოაჩინოს პლატონის როლი ქრისტიანობაში, რომელსაც მისი სწრაფვა სილოგიზმის საზღვრებიდან გონიერი გაყვანისა და ზეგრძნობადი სამყაროს შესახებ კაცობრივი ცოდნის სისტემატიზაციისაკენ დოგმატების ფორმირებისას რაციონალურ ბაზად გამოადგა.¹⁶

პასუხად შევნიშნავთ, რომ ქრისტიანობას ანტიკური ფილოსოფიიდან ტერმინოლოგია და მეთოდოლოგია, რაც მას თავისი მოძღვრების სისტემატიზირებისათვის სჭირდებოდა, ფსელოსამდე უკვე დიდი ხნით ადრე ჰქონდა გამოყენებული. ეს პროცესი, რომელსაც მკვიდრი საფუძველი კაპადოკიის საღმრთოსმეტყველო სკოლამ ჩაუყარა, რომ აღარაფერი ვთქვათ არეოპაგიტიკის შესახებ, იოვანე დამასკელის შემოქმედებაში დასრულდა. მიქაელ ფსელოსის დროს დოგმატებს ფორმირება არ სჭირდებოდა და ეს არც იყო მისი მიზანი. მან დოგმატების რეფორმაცია სცადა და მიზანს ნაწილობროვ მიაღწია. მართალია, მის მიერ რეფორმირებული მოძღვრება ეკლესიამ არ მიიღო, მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მაინც დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომელსაც, ჩვენი აზრით, კეთილისმყოფელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

¹⁵ იქვე, გვ. 199.

¹⁶ Tatakis B., La philosophie Byzantine, Paris, 1919, p. 186.